ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

VII ტალღა

კვლევა დაფინანსებული და მომზადებულია
საერთაშორისო ფონდი კურაციოს მიერ

#HSBarometer

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

წინასიტყვაობა

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

კვლევის მიზანი:

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა

კვლევის ამოცანა:

საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა, რათა მათ შეიტყონ დარგში მიმდინარე მოვლენების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტთა მოლოდინები და მოსაზრებები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინონ

შენიშვნა:

1. კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებს და მოლოდინებს
2. რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო, შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

VII ტალღა

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ძირითადი მიგნებები

კვლევის ძირითადი მიგნებები (1)

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- უკვე 18 თვეა, რაც ბარომეტრის რესპონდენტები C ჰეპატიტის და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების მიმდინარეობას ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვან წარმატებად ასახელებენ

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უწყვეტი მიმდინარეობის შედეგები დადებითად აისახა მოსახლეობაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვომობაზე:
- ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით დასტურდება, რომ წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იმატებს როგორც ამბულატორიული, ისე ქირურგიული სერვისების მოხმარება

კვლევის ძირითადი მიგნებები (2)

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის VII ტალღის შედეგები კვლევის წინა ტალღების შედეგებისგან განსხვავებულია:
- რესპონდენტთა პასუხებში ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენების ნეგატიური შეფასებები ტენდენციას იცვლის, როგორც გასული 6 თვის მოვლენათა შეფასებისას, ასევე სამომავლო მოლოდინების დაფიქსირების კუთხითაც.
  - *მიუხედავად იმისა, რომ ჯიბიდან გადახდილი თანხა მატულობს,VII ტალღაში შემცირებულია იმ რესპონდენტთა რადენობა, რომლებიც სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდას, ფინანსური ხელმისაწვდომობის და მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებას აღნიშნავენ,*
- ერთადერთი ინდიკატორი, სადაც ცვლილებები არ დაფიქსირებულა გახლავთ ჯიბიდან გადახდები:
  - რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55.2%) ბოლო 6 თვის მანძილზე ჯიბიდან გადახდილი თანხების მატებას აღნიშნავს

კვლევის ძირითადი მიგნებები (3)

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით რესპონდენტთა მოსაზრებები თანხვედრაშია, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ
- 2016 წლის პირველი 6 თვის მანძილზე სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობები გაიაფდა ⬇ -12.4%-ით
- თუმცა, ყურადღებას იმსახურებს ფასების ზრდის ტენდენცია ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე:
  - ➢ ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა ⬆ 5.5%-ით
  - ➢ საავადმყოფოების მომსახურება გაძვირდა ⬆ 1.1%-ით

❑ სამედიცინო მომსახურების გაძვირება საფრთხის შემცველია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტისთვის და დროულ რეაგირებას საჭიროებს გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან.

კვლევის ძირითადი მიგნებები (4)

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის VII ტალღის რესპონდენტთა მოსაზრებებით ჯანდაცვის სფეროს #1 და #2 გამოწვევებად დასახელდა:

1. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვის ხარვეზები
2. ჯანდაცვის დაფინანსების ხარჯთ-ეფექტური მექანიზმების დანერგვის აუცილებლობა

- გამოწვევებზე დროული რეაგირების საჭიროებას ხაზს უსვამს შემდეგი მონაცემები:
- ისეთი სამედიცინო სერვისების უტილიზაციის ზრდა, როგორიცაა,
  - გადაუდებელი ქირურგიული სერვისების მოხმარება, რომელიც 3-ჯერ არის მომატებული 2014-15 წლებში 2012-თან შედარებით
  - საკეისრო კვეთების მაღალი წილი მშობიარობების მთლიან რაოდენობაში. 2015 წლის მონაცემებით ამ მაჩვენებელმა 40%-ს გადააჭარბა

❖ ზემოთ მოყვანილ მაჩვენებლებზე თვალყურის დევნება მნიშვნელოვანია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტის ეფექტურად ხარჯვის მონიტორინგისთვის.

კვლევის ძირითადი მიგნებები (5)

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- VII ტალღაში მონაწილე ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებით ჯანდაცვის სფეროს გამოწვევების ნუსხა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა
  - ✓ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირება
  - ✓ პროგრამის დიზაინი
  - ✓ სარგებლის პაკეტის გამდიდრება მედიკამენტებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის
  - ✓ პირველადი ჯანდაცვა
  - ✓ ფარმაცევტული ბაზრის რეგულირება
  - ✓ სამედიცინო განათლება
  - ✓ სამედიცინო მომსახურების ხარისხი

გამოწვევათა ნუსხა საკმაოდ ფართოა და გადაწყვეტილებების მიმღებთა მხრიდან პრიორიტეტიზაციას და დროულ და ადეკვატურ ცვლილებებს მოითხოვს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების მიზნით.

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

კვლევის შედეგები დეტალურად

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

მთავრობის პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში, სპეციალისტთა შეფასებები და ოფიციალური მონაცემები

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს წარმატება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ➢ ბარომეტრის V ტალღიდან მოყოლებული რესპონდენტები ჯანდაცვის სფეროს წარმატებად **C ჰეპატიტის** და **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებს** ასახელებენ.
- ამ ეტაპზე ექსპერტებისა და სპეციალისტების შეფასებით ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს წარმატებები შემდეგნაირად ფორმულირდა:

#1 C ჰეპატიტის პროგრამის გაფართოება

#2 საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უწყვეტი მიმდინარეობა

ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია, 2015

1

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უწყვეტი მიმდინარეობის შედეგად სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია, კერძოდ,
- ამბულატორიული სერვისების მოხმარება 2015 წელს 2012-თან შედარებით 57%-ით არის მომატებული.

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



- გეგმიური ქირურგიული ოპერაციების მოხმარების მაჩვენებელი 2015 წელს 2012-თან შედარებით 49%-ით არის მომატებული
- გადაუდებელი ოპერაციების მაჩვენებელი 2014-15 წლებში სტაბილურობით ხასიათდება, თუმცა 2012-თან შედარებით ბოლო ორ წელიწადში ჩანს, რომ გადაუდებელი ოპერაციების უტილიზაცია 3-ჯერ არის მომატებული.

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ფასები მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტებზე ფასების ცვლილების შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- 34.6%-ით შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ბოლო 6 თვის პერიოდში წამლების გაძვირებას აღნიშნავდნენ, იმ რესპონდენტთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, რომლებიც მიიჩნევენ რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში წამლების ფასები არ შეცვლილა



ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილების შეფასება



- რესპონდენტთა 41.4% თვლის რომ ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასები არ შეცვლილა.
- და წინა ტალღასთან შედარებით უფრო ნაკლები ადამიანი 55.2% აღნიშნავს სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას

როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ.სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- 2016 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით (2016 წლის ივნისი, 2015 წლის დეკემბერთან შედარებით) ჯანდაცვაზე ფასები შემცირებულია ⬇ -0.8%-ით.

- ზემოაღნიშნულ პერიოდში ფასების ცვლილება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქციასა და მომსახურებაზე:
  - ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა ⬆ 5.5%-ით
  - საავადმყოფოების მომსახურება გაძვირდა ⬆ 1.1%-ით
  - სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა გაიაფდა ⬇ -12.4%-ით

წყარო: საქსტატის და საერთაშორისო ფონდი კურაციოს კომუნიკაცია

- სავარაუდოა, რომ სამედიცინო პროდუქციის (წამლები), აპარატურისა და მოწყობილობების ჯგუფზე ფასების შემცირება დაკავშირებული იყოს ფარმაცევტულ ბაზარზე "ჰუმანითი ჯორჯიას" შემოსვლასთან, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა.

ბოლო 6 თვის მანძილზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ცვლილების შეფასება სამედიცინო მომსახურებაზე



- VII ტალღის მონაცემებით, ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით:
  - ყოველი მეორე რესპონდენტი თვლის რომ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა,
  - ხოლო სამიდან ერთი კვლავ ფინანსური ხელმისაწვდომომის გაუარესებას აღნიშნავს.

ბოლო 6 თვის მანძილზე მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება



- ბარომეტრის VI ტალღასთან შედარებით VII ტალღის მონაცემებით 31.7%-ით შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მოსახლეობის ფინანსური დაცულობის ოდნავ ან მნიშვნელოვან გაუარესებას აღნიშნავენ.

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან ფორმალური და/ან არაფორმალური გადასახდელების შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



- ერთერთი ინდიკატორი, სადაც ტენდენციები არ შეცვლილა გახლავთ ჯიბიდან გადახდების ცვლილების შეფასება
- ჯანდაცვის სერვისებზე ჯიბიდან გადახდილ თანხებზე ზრდის ტენდენცია მესამე ტალღიდან შეინიშნება
- VII ტალღის მონაცემებით ჯიბიდან გადახდილი თანხების მატებას ნახევარზე მეტი რესპონდენტი აღნიშნავს (55.2%)

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ექსპერტთა შეფასებები ჯანდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე

საყოველთაო ჯანდაცვის კუთხით:

მართვა/ადმინისტრირების ხარვეზები

პროგრამის დიზაინის დახვეწა

მოწყვლადი ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფა

ჯანდაცვის ხარჯების ზრდის დასარეგულირებლად დაფინანსების ხარჯთ-ეფექტური მექანიზმების დანერგვა

როგორ ეხმიანება ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები ექსპერტთა შეფასებებს

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიზაინის დახვეწის და დაფინანსების ხარჯთ-ეფექტური მექანიზმების დანერგვის საჭიროების ერთერთ მაგალითად შესაძლოა წარმოჩინდეს ქვემოთ მოცემული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ
- 2015 წელს საკეისრო კვეთების წილმა **41.4%** შეადგინა მშობიარობების საერთო რაოდენობიდან



სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხების გადარიცხვის დროულობა?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვა/ ადმინისტრირების ხარვეზებს ეხმიანება ქვემოთ მოცემული მონაცემები:
- მეოთხე ტალღის შემდეგ იმ მენეჯერთა რაოდენობა, რომლებიც თანხების დროულად ჩარიცხვას აღნიშნავენ 62%-დან - 33%-მდე დაეცა.
- კვლევაში მონაწილე დაწესებულებათა მენეჯერების 66.7% პროგრამული თანხების ოდნავ ან მნიშვნელოვანი დაგვიანებით ჩარიცხვაზე მიუთითებენ.



ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, 2016

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



- 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტით დახარჯულია 331.8 მლნ ლარი, რაც **8%**-ით აჭარბებს წლის დასაწყისში დაგეგმილი ბიუჯეტის მოცულობას.
- ჯანდაცვის სხვა პროგრამებზე კი 2016 წლის II კვარტლის მონაცემებით დახარჯულია დაგეგმილზე **5.5%**-ით მეტი.

გასათვალისწინებელია, რომ გრაფიკზე მოყვანილი თანხები არ ასახავს იმ დაგროვილ დავალიანებებს, რომლებზეც რესპონდენტები მიუთითებენ.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. პროგრამა 35 03; 35 03 01

ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა/პრობლემა, რომელიც მთავრობამ უნდა მოაგვაროს 2

VII ტალღის რესპონდენტთა შეფასებებით,

გამოწვევათა ნუსხა აგრეთვე მოიცავს შემდეგ საკითხებს:



- პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება
- ფარმაცევტული სფეროს რეგულირება, მედიკამენტებზე ფასების კონტროლი
- სამედიცინო განათლების სისტემა
- სამედიცინო მომსახურების ხარისხი

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სამედიცინო განათლების სისტემის შეფასება

რამდენად ადეკვატურია/ გამართულია დღეს არსებული სამედიცინო განათლების სისტემა

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის VII ტალღაში შევხედეთ თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები სამედიცინო განათლების სისტემას საქართველოში.
- შედეგებით ირკვევა, რომ **2014 წლის ივლისის შემდეგ**:

რესპონდენტთა 60% კვლავ *ნაკლებად ადეკვატურად* აფასებს დიპლომამდელი სამედიცინო განათლების სისტემას ექიმებისთვის

უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემა ექიმებისთვის რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (60.3%) *საერთოდ არაადეკვატურად* არის შეფასებული

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (48.3%) *კვლავ არადეკვატურად* მიიჩნევს დღეს არსებულ საექთნო სამედიცინო განათლების სისტემას საქართველოში.

ბოლო 6 თვის მანძილზე მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამედიცინო პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესების კუთხით

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის VII ტალღაში ასევე დაისვა კითხვა სამედიცინო პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე
- ახალი ტალღის შედეგები ცხადყოფს, რომ 2014 წლის ივლისიდან* მოყოლებული ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა:
- რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55.2%) კვლავ მიიჩნევს, რომ სამედიცინო პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესების კუთხით ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

* *2014 წლის ივლისში გამოქვეყნდა ბარომეტრის III ტალღის შედეგები, სადაც იგივე კითხვა იქნა დასმული რესპონდენტებისთვის, რაც VII ტალღაში.*

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სახელმწიფო პოლიტიკა: პერძო სადაზღვევო სექტორი და მისი შესაძლო პერსპექტივები

ბოლო 6 თვის მანძილზე კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი (46.6%) აღნიშნავს, რომ ბოლო 6 თვეში კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა არ შეცვლილა.



კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილება ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით 2015 წლის ბოლოდან 2016 წლის ივლისამდე კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა.



წყარო: *საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია - სტატისტიკური მონაცემები*

http://insurance.org.ge/

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სამომავლო მოლოდინები

ფინანსური ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- VII ტალღის მონაცემებით ჯანდაცვაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუარესების მოლოდინები შემცირებულია (21.5%-ით), იმ რესპონდენტთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე, რომლებიც ამ მხრივ ცვლილებებს არ მოელიან.



მედიკამენტების ფასების გაიაფების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ VI ტალღის მონაცემებთან შედარებით VII ტალღაში მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით პესიმისტური მოლოდინები შემცირებულია 28.4%-ით.



სამედიცინო მომსახურების ფასების გაიაფების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- VII ტალღაში შემცირებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა (22.1%-ით), რომლებიც სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას მოელიან.
- რესპონდენტთა 44.6% ფასების შენარჩუნებას მოელის.



მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- შემცირებულია პესიმისტური მოლოდინი მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებასთან დაკავშირებითაც.
- სავარაუდოა, რომ ეს განწყობა დაკავშირებულია მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირების მოლოდინის ცვლილებასთან.



ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან გადახდილი ფორმალური და/ ან არაფორმალური გადასახდელების რაოდენობის ცვლილების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ უკვე 18 თვეა, რაც გამოკითხულთა 50%-ზე მეტის მოლოდინი არის რომ ჯიბიდან გადახდები გაიზრდება.



მოკლე ცნობები კვლევაში მონაწილეთა შესახებ

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის მეშვიდე ტალღა წარმოდგენილია მონაწილე ექსპერტთა და სპეციალისტთა ფართო სპექტრით:
  - ✓ სამთავრობო სტრუქტურები
  - ✓ სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები
  - ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები
  - ✓ პროფესიული ასოციაციები და სადაზღვევო ორგანიზაციები
  - ✓ კვლევითი საექსპერტო ჯგუფები

- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და გენდერული განაწილებით:
  - ✧ მონაწილეთა 85%-ზე მეტს აქვს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება
  - ✧ მონაწილეთა 80%-ის ასაკი 40 წელზე მეტია
  - ✧ რესპონდენტთა 51% ქალბატონია

დასასრული

საავტორო უფლებები დაცულია. შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის გარეშე, მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით.

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION